სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

# მებრძოლი

„БОЕЦ РККА“ на грузинском языке

შაბათი 17 ნოემბერი, 1942 წ. № 7

## მეტყვიამფრქვევენი კავკასიისათვის ბრძოლებში

მტერმა ცეცხლი წაუკიდა ტყეს თერმიტული ყუმბარებით. ცეცხლის რკალი შემოერტყა მაღლობს, რომელზედაც ჩვენი მებრძოლები იყვნენ. მდგომარეობას კიდევ უფრო ის ამძიმებდა, რომ გერმანელები და რუმინელები განუწყვეტლივ და გაათკეცებით უშენდნენ საარტილერიო და სანაღმსატყორცნო ცეცხლს. ბოლოს კანონადა შეწყდა, და მტერი ნიაღვარივით დაიძრა მაღლობის სიმაღლისაკენ. ასობით რუმინელი პირდაპირ სტუდიანიკოვის ტყვიამფრქვევის გუნდისაკენ მოდიოდა. მეტყვიამფრქვევენი რიდი მედგრად.

არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხიოთ!—ასეთი იყო მათი ურყევი გადაწყვეტილება. და როცა მოწინააღმდეგე 30-40 მეტრზე იყო, გუნდმა შეთანხმებული ცეცხლი გაახსნა. რუმინელებს მეორეჯერაც ჩაეფუშათ მაღლობზე ასვლის ცდა. ამჯერად მტერმა ტაქტიკა შესცვალა. მტრის დიდი ძალები ორივე მხრიდან უპირებდნენ გარშემორტყმას საბჭოთა გმირებს. ეს ოინიც ამაო გამოდგა: ჰიტლერის დაქირავებმა ათობით დახოცილი და დაჭრილი თავიანთი ჯარისკაცი დასტოვეს და კვლავ უკუიქცნენ.

მშობლიური კავკასიის დაცვისას, საბჭოთა მეტყვიამფრქვევენი ყოველდღიურად, ყოველსაათობით სჩადიან უმაგალითო საგმირო საქმეებს, გულადად შედიან ბრძოლაში ფაშისტთა მთელი ნაწილების წინააღმდეგ, ულმობლად ჟლეტენ ჰიტლერელ მხეცებს, წინ წამოსასვლელ გზას უღობავენ მათ, გზას უკაფავენ თავიანთ შემტევ ნაწილებს.

მეტყვიამფრქვევე მიშჩენკომ, რომელიც სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი პუნქტის მისადგომებს იცავდა, მის მიერ დაკავებული პოზიცია მიუდგომელ სიმაგრედ აქცია. მტერი გაათკეცებით მოისწრაფოდა წინ, ზედიზედ ჰგზავნიდა იერიშზე თავის ქვეგანაყოფებს, მაგრამ მიშჩენკოს ტყვიის მერეხით ხვდებოდა მათ, უკან აბრუნებდა და მედგრად ინარჩუნებდა ზოლს ჩვენი ქვეგანაყოფის მოსვლამდე.

დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევები მამაცი მებრძოლების მარჯვე ხელში წარმოადგენენ მძლავრ ძალას, რისხვას მტრისათვის.

ამიერკავკასიის ფრონტის მეტყვიამფრქვევენო! სამშობლომ თქვენ ჩაგაბარათ პირველხარისხოვანი იარაღი. კიდევ უფრო უკეთესად დაეუფლეთ მას. უფრო ძლიერ დაუშინეთ გრიგალისებრი ცეცხლი დაუძინებელ მტერს. ულმობლად ჟლიტეთ ფაშისტთა ურდოები. გზა გადაუკეტეთ წინ ჩვენს სახელოვან ქვეით ჯარს!

## ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვებზე

ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მოსკოველმა კორესპონდენტმა ბ-ნმა კესიდიმ 12 ნოემბერს მიმართა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს წერილით, რომელშიც სთხოვდა მას ეპასუხნა სამ კითხვაზე, რომლებიც ამერიკის საზოგადოებრიობას აინტერესებს.

ამხანაგმა სტალინმა ბ-ნ კესიდის უპასუხა შემდეგი წერილით:

ბატონო კესიდი! გიპასუხებთ 12 ნოემბერს გამოგზავნილ თქვენს კითხვებზე.

1. „საბჭოთა მხარე როგორ აფასებს მოკავშირეთა კამპანიას აფრიკაში?“

პასუხი: საბჭოთა მხარე აფასებს ამ კამპანიას, როგორც უდიდესი მნიშვნელობის თვალსაჩინო ფაქტს, რომელიც ცხადმყოფს მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მზარდ ძლიერებას და ქმნის იტალია-გერმანიის კოალიციის უახლოეს დროში დაშლის პერსპექტივას. აფრიკის კამპანია ერთხელ კიდევ უარმყოფს სკეპტიკოსების აზრს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ინგლის-ამერიკის ხელმძღვანელებს არ შესწევთ უნარი მოაწყონ სერიოზული საომარი კამპანია. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, რომ მხოლოდ პირველხარისხოვან ორგანიზატორებს შეეძლოთ განეხორციელებინათ ისეთი სერიოზული სამხედრო ოპერაციები, როგორიც არის წარმატებითი დესანტები ჩრდილოეთ აფრიკაში ოკეანით, სწრაფი დაკავება ნავსადგურებისა და ფართო ტერიტორიებისა კასაბლანკიდან ბუჟამდე და იტალია-გერმანიის ჯარების განადგურება დასავლეთ ეგვიპტეში, რაც ოსტატურად ტარდება.

2. „რამდენად ეფექტურია ეს კამპანია საბჭოთა კავშირზე დაწოლის შემცირების აზრით და რა შემდგომ დახმარებას მოელის საბჭოთა კავშირი?“

პასუხი: ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი ამ კამპანიის ეფექტურობის ზარისხის შესახებ საბჭოთა კავშირზე უშუალო დაწოლის შემცირების აზრით, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეფექტი მცირე როდი იქნება და საბჭოთა კავშირზე დაწოლის ერთგვარი შემცირება უკვე უახლოეს დროში მოხდება. მაგრამ საქმე მარტო ეს როდი არის. საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ რამდენადაც აფრიკის კამპანია ნიშნავს ინიციატივის გადასვლას ჩვენი მოკავშირეების ხელში, იგი ძირიან-ფესვიანად სცვლის სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას ევროპაში ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის სასარგებლოდ. იგი ძირს უთხრის ავტორიტეტს ჰიტლერული გერმანიისას, როგორც ხელმძღვანელი ძალისას ღერძის სახელმწიფოთა სისტემაში და დემორალიზაცია შეაქვს ჰიტლერის მოკავშირეთა შორის ევროპაში. მას საფრანგეთი გამოჰყავს გარინდების მდგომარეობიდან, აღძრავს საფრანგეთის ანტიჰიტლერულ ძალთა მობილიზაციას და ქმნის საფუძველს საფრანგეთის ანტიჰიტლერული არმიის ორგანიზაციისათვის. იგი ქმნის პირობებს იტალიის გამოსაყვანად მწყობრიდან და ჰიტლერული გერმანიის იზოლაციისათვის. ბოლოს იგი ქმნის წინაპირობებს მეორე ფრონტის მოსაწყობად ევროპაში, გერმანიის სასიცოცხლო ცენტრების მახლობლად, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჰიტლერულ ტირანიაზე გამარჯვების ორგანიზაციის საქმეში.

3. „საბოლოო გამარჯვების დაჩქარების მიზნით, როგორია შესაძლებლობა აღმოსავლეთში საბჭოთა შეტევითი ძალის შეერთებისა მოკავშირეებთან დასავლეთში?“

პასუხი: შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, რომ წითელი არმია ღირსეულად შეასრულებს თავის ამოცანას ისევე, როგორც იგი ასრულებდა მას მთელი ომის განმავლობაში.

პატივისცემით

**ი. სტალინი.**

1942 წლის 13 ნოემბერი.



ამხანაგ სტალინის მოხსენების შესწავლა ლეიტენანტ პ. ბაზარნის ქვეგანაყოფში. მარჯვნივ პოლიტხელი პ. აბაიმოვი.

ფოტო ვ. ჯღერიანოვისა

## ჩემი ტყვიამფრქვევი საათივით მუშაობს

ჩემი სადაზგო ტყვიამფრქვევით ოცეულის ფლანგზე ვიდექი. ამოცანად მქონდა დასახული მეზობელთან შესაყარი დამეცვა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ფრონტის წინ მტრის იერიში შემეჩერებინა.

ბრძოლა მიდიოდა. მე განუწყვეტლივ ვისროდი. სანგრების ახლოს უკვე 18 მოკლული ჰიტლერელის გვამი ეგდო. უცბად მე ვიგრძენი, რომ ჩემი ტყვიამფრქვევი წყვეტილად მუშაობს. იქვე მტრის ცეცხლის ქვეშ იარაღი გავსინჯე. აღმოჩნდა, რომ ლულაში დაგროვილიყო მტვერი და ნალექი. მე და თანაშემწემ სწრაფად გავწმინდეთ ლულა.

ამ დროის განმავლობაში ჰიტლერელები ას მეტრზე მოგვიახლოვდნენ. მე კვლავ მივუწექი „მაქსიმს“ და მტერს ერთი ჯერი გაუგზავნე. ტყვიამფრქვევი საათივით ზუსტად ამუშავდა. კიდევ ერთ ათეულზე მეტი ჰიტლერელი დავაწვინე ჩვენი სანგრის მახლობლად.

მესიზნე ე. კოლტუნოვი.

## მეტყვიამფრქვევენი ბრძოლის ველზე

ჩვენი ქვეყნის პირმშო შვილები შეუპოვრობასა და უმაგალითო სიმამაცეს იჩენენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლებში დიდმნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ მეტყვიამფრქვევენი. მათი როლი ბრძოლის ველზე დიდია. ძალიან ხშირად მეტყვიამფრქვევენი ანერვებენ და ანადგურებენ იერიშზე გადმოსულ ფაშისტთა ჯგუფებს. მაგალითად, ერთერთ ბრძოლაში წითელარმიელმა მეტყვიამფრქვევემ ერგომობეკოვმა მტრის იერიშის მოგერიებისას მოკლა 15 ფაშისტი. მეტყვიამფრქვევეებმა ულტანჟიშმა და ბარბაქაძემ მოკლეს 20 ჰიტლერელი და ჩააჩუმეს მტრის 5 სატყვიამფრქვევო ბუდე.

## მიწის ფასი

იმ უბანზე, სადაც მეთაურის მითითებით ჩემი საცეცხლე პოზიციის ადგილი უნდა ყოფილიყო, არ მოიპოვებოდა არც ერთი ბორცვი, არც ერთი ქვა, რომ თავის შეფარება შესაძლებელი ყოფილიყო. ამოვთხარე სანგარი ვიწრო, მაგრამ ღრმა. დამხმარე მასალისაგან გადასახური ავაგე, გავაკეთე კარგი, საიმედო ბრუსტვერი სათოფურით. პატარა ბლინდაჟს დავამსგავსე.

იერიშზე გადმოსვლის წინ გერმანელებმა ნაღმსატყორცნებით ცეცხლი დაგვიშინეს, მათ უნდოდათ ჩვენი საცეცხლე წერტები ჩაეხშოთ, ვიდრე მათი ქვეითები იერიშზე გადმოვიდოდნენ. მე ჩემი სანგრის ძირში ჩავწექი. თავს ზევით გადაჰქროდნენ ნაღმების ნამსხვრევები. ჩემი სანგრიდან ხუთი მეტრის დაშორებით ყუმბარა გასკდა. ისეთი ძალის აფეთქება იყო, რომ ბლინდაჟი შეირყა. ჩემი სანგარი, გადახურული რომ არ ყოფილიყო, მთლად მიწით აივსებოდა.

კანონადა 40 წუთს გრძელდებოდა. ფაშისტების ქვეითი ჯარი იერიშზე გადმოვიდა. ჩვენი სანგრის წინააღმდეგ გერმანელთა ტყვიამფრქვევი ამოქმედდა, მაგრამ ტყვიები ბრუსტვერში იჭედებოდნენ. მე ამ დროს სათოფურიდან თვალყურს ვადევნებდი მტერს და, როდესაც გერმანელები 50 ნაბიჯზე მოგვიახლოვდნენ, ავტომატი დავუშინე. პირველი ჯერით სამი გერმანელი მოვკალი, დანარჩენები განაგრძობდნენ წინ ძრომას. მეორე ჯერით კიდევ ოთხი წავაწვინე, დანარჩენი ხუთი მიწაზე დაეცა და უკან გაბრუნდა. ამ ბრძოლაში თერთმეტი ჰიტლერელი მოვსპე.

ხუთდღიურმა ბრძოლებმა მიწის ფასი გამაგებინეს. კარგი სანგარი მებრძოლს მარცხისაგან იცავს.

წითელარმიელი ე. ავანესოვი.

რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის-მხვეჭელსა,
შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

# პოლიტხელის მოადგილე მ. ეპიტაშვილი

თეთრფინელების წინააღმდეგ ბრძოლებში მიხეილ დავითის-ძე ეპიტაშვილმა არა ერთი სასახელო გმირული საქმე ჩაიდინა. მისი ტანკი 12 დღე მტრის ზურგში იყო, მაგრამ მამაცი ეკიპაჟი არ შედრკა, მედგარი ბრძოლით მიაღწია თავის ნაწილს.

ომის დაწყების პირველ დღიდანვე ამხ. მიხ. ეპიტაშვილი სამამულო ომის ფრონტზეა. მის ტანკს არა ერთი ოკუპანტი გაუსრესია, მტრის მრავალი საცეცხლე წერტი ჩაუხშობია.



გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სამხედრო საბჭომ პოლიტხელის მოადგილე მიხეილ დავითის-ძე ეპიტაშვილი დააჯილდოვა მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.



საჰაერო ბრძოლის ოსტატი გამანადგურებელი-მფრინავი ბ. ვეშაპიძე, მამაცობისა და გულადობისათვის დაჯილდოებულია „წითელი დროშის“ ორდენით.
ფოტო გ. ჯვირიანისა

# მოსპე გერმანელები ისე, როგორც ჩვენი მფრინავები სპობენ

(გამანადგურებელი მფრინავის ბ. ვეშაპიძის წერილი თავის ძმისადმი).

ძვირფასო სიმონ! დიდი ხანია შენგან არავითარი ამბავი არ მომსვლია, თუმცა გავიგე, რომ შენ სადღაც ჩემს ახლოს ებრძვი გერმანელებს მშობლიური კავკასიის დასაცავად. მე მჯერა, რომ შენ ცოცხალიც ხარ და გერმანელებსაც ისე მედგრად ებრძვი, როგორც ეს საბჭოთა მებრძოლებს შეჰფერის.

მე ძველებურად ავიაციაში ვმუშაობ. ჩემს მებრძოლ ამხანაგებთან, სტალინურ შევარდნებთან ერთად ვმონაწილეობ საჰაერო შეტაკებებთან ბრძოლაში. მოკლე დროის განმავლობაში ჩვენი ნაწილის მფრინავებმა მოსპეს და ჩამოაგდეს ფაშისტების ათობით თვითმფრინავი. პირადად მე ჩამოვაგდე ერთი „მესერშმიტი“. ამის გარდა მფრინავ დიმიტრი ხაზარენკოსთან ერთად ჩამოვაგდე მტრის სამი მანქანა.

სიხარულით გაცნობებ, რომ ხელისუფლებამ „წითელი დროშის“ ორდენით დამაჯილდოვა.

ამ დიდმა ჯილდომ მე უფრო მეტად აღმაფრთოვანა. მე ვეცდები წავბაძო ჩვენს სახელგანთქმულ მფრინავებს: საბჭოთა კავშირის გმირს ვიქტორ დავიდკოვს, ივანე სტეპულოვს, დიმიტრი სიგოვს, კონსტანტინე ნოვიკოვს და სხვებს და მათებურად უფრო ულმობლად ვურტყა ფაშისტებს და ჩემი საბრძოლო ანგარიში გავზარდო.

შენც ისე იბრძოლე, ძმაო, სამშობლოს მტრებთან, როგორც ჩვენი სახელოვანი სტალინური შევარდნები იბრძვიან. დაიცავი ყოველი მტკაველი მიწა. დაე, სტალინის ბრძნულმა სიტყვებმა აღგაფრთოვანოს შენ ახალი საგმირო საქმეებისათვის. მომწერე შენსა და შენი მებრძოლი ამხანაგების შესახებ.

ჩემი მისამართი: ППС 431, ნაწილი № 144.

შენი ძმა ბესარიონი.

# გმირი მფრინავის აღზრდილნი

მოპიკირე მანქანები სამიზნეს უკვე უახლოვდებოდნენ, როცა ცას პროჟექტორების სხივები გადაკვეთა და ირგვლივ ყუმბარების თვალისმომჭრელი ცეცხლი დაინთო. ცეცხლის რკალი არაჩვეულებრივ მკვრივი იყო. ეკიპაჟის მეთაური აფეთქებულ ყუმბარებს შორის ოსტატურად პიკირებდა და სიმაღლეს ემატებოდა, მაგრამ ამ დროს მან ძლიერი ბიძგი იგრძნო, თვითმფრინავი შეტორტმანდა და მკვეთრად გადაიხარა. მტრის ყუმბარა მარჯვენა მოტორში მოხვედრილიყო. მოტორი მაშინვე დადუმდა. მანქანამ სიჩქარე უკლო და ნელ-ნელა იწყო ძირს დაწევა.

მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა. ქვემოთ ზღვა ბობოქრობდა, წინ კი მთის ჩაბნელებული გრეხილები მოჩანდა. მაგრამ მეთაურმა როდი დაჰკარგა სიმტკიცე. მან სრულიად უყოყმანოდ გადასწყვიტა ჯერ დავალება შეესრულებინა, მერე კი საკუთარ ბედზე ეფიქრა. მას ნაბრძანები ჰქონდა დაებომბა წინ მიმავალი მოწინააღმდეგის ჯარები და ტექნიკა. ნიკოლოზ შენგელიამ დარწმუნებით გააქროლა თავისი დაზიანებული მოპიკირე მანქანა მიზნისაკენ. ავტომობილთა ფარების ციმციმზე სიბნელეში მან გაარჩია მთის გზა და თავისი მანქანის მთელი შემმუსვრელი ტვირთი თავს დაატეხა მტრის კოლონას. განადგურებულ იქნა ასობით გერმანელი ჯარისკაცი და რამდენიმე დატვირთული მანქანა.

ბომბდამშენი მხოლოდ ამის შემდეგ მოტრიალდა მკვეთრად და შებრუნებული გეზი აიღო. შენგელიამ ერთი მოტორით 250-ზე მეტი კილომეტრი გაიფრინა, შემდეგ თავის ტერიტორიაზე დაბრუნდა და ძირსდასაშვები მოედნის ძებნას შეუდგა. ღამეული მფრინავის გამოცდილებამ და ალღომ საშუალება მისცეს მას გაერჩია ღამით სათადარიგო აეროდრომი. მაგრამ რადგან აეროდრომს სხივი არ მიაწვდინეს, შენგელიამ ოთხი წრე გააკეთა და ძირდაშვების ადგილი განსაზღვრა. ყოველივე ეს დაკავშირებული იყო დიდ რისკთან, რადგან აეროდრომი მაღალ ნაპირზე მდებარეობდა, რომლის ფლატეც ზღვის ზედაპირიდან 40 მეტრს აღწევს. სულ მცირე გაუფრთხილებლობა, და შეიძლებოდა მანქანა ციცაბო კლდეში ჩახერგილიყო.

გარდა ამისა, უკანასკნელ წუთს გამოირკვა, რომ ყუმბარას დაეზიანებინა შასის გამოშვების სისტემა. შენგელია ბევრს ეცადა, მაგრამ თვითმფრინავის ერთი ბორბალი მაინც ვერ ამოქმედდა. მფრინავი შეშფოთდა, მაგრამ ერთ წამსაც არ გაეცლია, რომ მან გადასწყვიტა ერთი ბორბლით დაეშვებულიყო, რადგან სხვა გამოსავალი აღარ არსებობდა. ნიკოლოზ შენგელიამ მანქანა გვერდზე გადახარა და მშვიდობით დაეშვა.

როცა პოლკის მეთაურმა ეს შეიტყო, მამაშვილური სიყვარულით გადაეხვია ახალგაზრდა ვაჟკაცს. იგი თვალს არ აშორებდა ნიკოლოზ შენგელიას შავგვრემან, ქარდაკრულ სახეს და ეუბნებოდა:

— მე ჯერ კიდევ არწივის ბარტყი მეგონე, შენ კი ნამდვილი არწივი ყოფილხარ.

ბრძოლებში გამოცდილი ავიატორის ქებამ ახალგაზრდა მფრინავს გული აუჩქარა. იგი მოკრძალებით და მდუმარედ იდგა — საბრძოლო ორდენის მინანქრით მკერდდამშვენებული.

დღემდე მოპიკირე ბომბდამშენთა პოლკში კავკასიის არწივს უწოდებდნენ ალექსანდრე წურწუმიას. ის კი, ნიკოლოზ შენგელია, — მხოლოდ მოწაფეა სახელგანთქმული მფრინავისა. ნიკოლოზს უებრად მოაგონდა ის დრო, როცა იგი, მოკრძალებული ბიჭი, პოლკში მოვიდა. ჯერ არავის შეუმჩნევია თავდადებული და გამოუცდელი პილოტი. მაგრამ მას იღბალი მოუვიდა და წურწუმიას ესკადრილიაში მოხვდა. სწორედ მას უკან დაიწყო საქართველოს კომკავშირის აღზრდილი ვაჟკაცის მშფოთვარე და დაუდგრომელი ცხოვრება. შენგელია ცხრა გმირ მფრინავთა შორის იყო კონსტანცის დაბომბვის დროს. ეს მისი საბრძოლო ნათლობა იყო. კონსტანცის პირველსავე დაბომბვის დროს შეამჩნია ალექსანდრე წურწუმიამ, რომ ახალ მფრინავს საკმაო გამოცდილება არა ჰქონდა, მაგრამ იგი შეეყვარა სულიერი წონასწორობისათვის, ყოველთვის თავისუფალი წუთით სარგებლობდა, რომ მისთვის მაღალი ოსტატობა ესწავლებინა. შენგელია კი, რომელიც მტრის ზურგში შორ რეიდებს აკეთებდა, აღზნებული იყო სურვილით ესწავლა მტრის განადგურება ისე, როგორც ამას მისი მეთაური სჩადიოდა. იგი ცდილობდა ყველაფერში მიებაძა თავის შესანიშნავი თანამემამულისათვის. როცა დაბომბვიდან დაბრუნების შემდეგ, საბრძოლო გაფრენებს შორის შესვენების დროს, ალექსანდრე წურწუმია უამბობდა თავის ამხანაგებს, თუ როგორ აწრთობდა იგი თავის ნებისყოფას, როგორ გამოიცნობს ხოლმე სამიზნეს ღამეში, მტრის არტილერიის გადამღობ ცეცხლში, ნიკოლოზ შენგელია სულგანაბული უსმენდა მას და ყოველ მის სიტყვას მტკიცედ იმახსოვრებდა. იგი გულმოდგინედ სწავლობდა ჰაერის სივრცეთა მპყრობელის მდიდარ გამოცდილებას და მიზანს მიაღწია.

სრულყოფილად უნდა იყო დაუფლებული საფრენოსნო ხელოვნების, ასეთი გაფრენა რომ დამოუკიდებლად შეასრულო. ამავე დროს ეს პირველი გაფრენა როდი იყო. რამდენჯერ მოხვდა ძნელ ვითარებაში ახალგაზრდების კიპაჟი, რომელსაც რიონის აყვავებული ხეობის შვილი მეთაურობს, მაგრამ იგი მუდამ წურწუმიასებურად ასრულებდა საბრძოლო დავალებას და მშვიდობით ბრუნდებოდა მშობლიურ პოლკში, რომელსაც იგი თავის ოჯახს უწოდებს.

საავიაციო პოლკის ბევრმა მფრინავებმა მემკვიდრეობით მიიღეს საფრენოსნო ხელოვნება, ვაჟკაცობა, თავდადება, ყოველგვარი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის უნარი და სხვა საუკეთესო თვისებანი, რომლებიც ალექსანდრე წურწუმიას ახასიათებდნენ. ისინი ღირსეულად ატარებენ თავიანთი ფრთებით კავკასიის არწივის სახელოვნობას.

ი. ზინკოვიჩი.

# საქართველოს კომკავშირელთა საბრძოლო საგმირო საქმენი

გვარდიის დივიზიაში, რომელმაც სტალინგრადის თავდაცვაში სახელი მოიხვეჭა და რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი გენერალი როდიმცევი მეთაურობს, იბრძვის ქართველი კომკავშირელი მსროლელი **ჩიტაშვილი**. ამ მებრძოლით, ისევე როგორც კომკავშირის სხვა მრავალი შვილით, მთელი დივიზია ამაყობს. თავის მეგობრებთან — რუს, უკრაინელ და ბელორუს კომკავშირლებთან ერთად, მსროლელი ჩიტაშვილი მედგრად იცავს ვოლგის სიმაგრეს.

ამას წინათ ჩიტაშვილმა და კომკავშირელმა მსროლელებმა ოლეინიკმა და ზიმინსკიმ ლეგენდარული ბრძოლა გადაიხადეს ფაშისტთა ოცი ტანკის წინააღმდეგ. გმირი კომკავშირელები როდი შედრკნენ, როცა ფოლადის ურჩხულები თავს დაატყდნენ მათ მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ უკან არ დაიხიეს არც ერთი ნაბიჯით, ახლოს მოუშვეს გერმანელთა ტანკები და თავიანთი თოფების ზუსტი ცეცხლით დააზიანეს 6 ტანკი, დანარჩენი 14 ტანკი კი უკუაგდეს. 14 ტანკმა ვერ გაუძლო სამ კომკავშირელს, გვარდიელ მეომრებს, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ მხოლოდ ტანკსაწინააღმდეგო თოფებით!

ასევე მამაცურად და მედგრად იბრძვის კავკასიის მთებში საქართველოს კომკავშირის მეორე შვილი — **ხურცილავა**.

ის სამეთვალყურეო პუნქტს მეთაურობდა ერთ-ერთ მაღლობზე. უცბად ქვემოთ, ფერდობზე, მტრის მეავტომატეთა ჯგუფი გამოჩნდა. ხურცილავამ სწრაფად მოაწყო ირგვლივი თავდაცვა და ბრძანება გასცა:

— ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!

მებრძოლები ოსტატურად შეინიღბნენ და დამიზნებული შაშხანის ცეცხლი დაუშინეს ფაშისტებს. განგმირული გერმანელები ფლატეში სცვიოდნენ, მაგრამ დახოცილთა ნაცვლად ბუჩქებიდან მოძვრებოდნენ ახალ-ახალი მეავტომატენი. აი, მებრძოლებს უკვე ვაზნები შემოელიათ.

— მოამზადეთ გრანატები! — უკომანდა ხურცილავამ.

მებრძოლებმა კომანდა შეასრულეს, ამასთან ჩუმად უთვალთვალებდნენ, თუ როგორ ამოდიოდნენ მაღლობზე გათამამებული გერმანელები. როცა ფაშისტები 15 მეტრზე მოხოხდნენ, მებრძოლები საფარიდან ამოვარდნენ და მტერს ეკვეთნენ.

გერმანელები ასეთ დახვედრას არ მოელოდნენ და აქეთ-იქით მიაწყდნენ. ხურცილავამ ისარგებლა მტრის რიგების ამ არევ-დარევით, მოიმარჯვა გერმანელთა ხელის ტყვიამფრქვევი და სროლა გააჩაღა. გერმანელები უკუიქცნენ, ამასთან მაღლობის ფერდობებზე დასტოვეს რამდენიმე ათეული გვამი.

# მტრისადმი სიძულვილს ბრძოლაში მიჰყავართ! ვაჟკაცობას გამარჯვება მოაქვს!..

## წერილები, რომლებიც მტრისადმი სიძულვილს გვინერგავენ

ტიხონ როდიონოვი სამამულო ომის პირველსავე დღეებიდან ფრონტზეა.

ნაწილის სარდლობამ ამას წინათ მის ცოლს წერილი გაუგზავნა. მასში აწერილია როდიონოვის გმირული მოქმედება. მისა ცოლი-ალექსანდრა წერილს სწრაფად გამოეხმაურა.

„გულწრფელ მადლობას გიხდით წერილისათვის,—სწერდა ის ქვეგანაყოფის მეთაურს ლეიტენანტ ბოკარევს,—ჩვენ გვახარებს, რომ ტიხონმა პარტიისა და მთავრობის დიდი ნდობა გაამართლა.

მოკლედ გაგაცნობთ ჩემს ცხოვრებას. ჩვენ სმოლენსკის ოლქში ვცხოვრობთ. როგორც კი გერმანელები ჩვენს სოფელში შემოიჭრნენ, მათ მშვიდობიან მცხოვრებთა ძარცვა და ხოცვა დაიწყეს.

წითელმა არმიამ გაგვათავისუფლა ჩვენ ფაშისტური ტყვეობიდან, ჩვენ კვლავ მხიარულად და ბედნიერად ვცხოვრობთ.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო სამშობლოს დამცველებო, ახალ-ახალ გამარჯვებას. შეაჩერეთ მტერი! გარეკეთ ისინი დასავლეთისაკენ.

...სამშობლოს დასაცავად წავიდა აზერბაიჯანის შვილი—მუსა ალიევი. მამასთან ერთად იგი მამაცურად იბრძოდა [illegible] უკრაინის ველებზე. მისი ძმა სულეიმანი, ლენინგრადის დაცვის დროს დაიღუპა.

ამას წინათ ალიევის დედამ შვილს წერილი გაუგზავნა:

„მუსა!—სწერდა ის,—ჰიტლერელი ყაჩაღები მოკლეს მოპირებენ, ისე, როგორც შენი მამა და ძმა წაგვართვეს. ნუთუ შენ ამას დაუშვებ?...

მუსამ უპასუხა:

მე მესმის შენი დარიგება, დედაჩემო, მე უკვე მოვსპე 23 გერმანელი ქვეწარმავალი, მაგრამ ეს ცოტაა. გპირდები, რომ სულ ცოტა 100 ფაშისტს მოვსპობ.

საბჭოთა პატრიოტების წერილები დიდ კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ: ისინი გვინერგავენ სიძულვილს ფაშისტებისადმი, მებრძოლებს მოუწოდებენ ახალ საგმირო საქმეებისკენ მტერზე გასამარჯვებლად.

პოლიტრუკი მ. ფრიდმანი.

## გვარდიელთა პატაკი

უკვე სამი თვეა, რაც გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას ვეწევით კავკასიის მთების ძირში. ჩვენ მტერს ჩავუფუშეთ გროზნოს ნავთის ხელში ჩაგდების ყოველი ცდა.

იცავენ რა კავკასიას, ჩვენი ქვეითები, არტილერისტები, ნაღმტყორცნელები, ჯავშანმტვრეველები და მეტყვიამფრქვეველნი ულმობლად ჟლეტენ ფაშისტ მტარვალებს. მეტყვიამფრქვევე ზინჩენკომ დღე-ღამეში 180 ჰიტლერელი გასწყვიტა. სნაიპერმა ივანოვმა ამდენივე ფაშისტი გაჟლიტა. ჯავშანმტვრეველებმა ამხ. მილაიანოვმა, კუზმენკომ, არტიუშკინმა, სიდორჩუკმა, მარკოვმა და სხვებმა მტრის სამ-სამი ტანკი დააზიანეს, ხოლო დემინის ტანკსაწინააღმდეგო თოფის გუნდმა ერთ ბრძოლაში მოსპო ფაშისტთა 12 მანქანა.

ოქტომბრის XXV წლისთავი ჩვენ აღვნიშნეთ ახალი საბრძოლო საქმეებით. მარტო ამხ. ხუხუშინის არტილერისტებმა დასწვეს და დააზიანეს 22 ტანკი, 150-მდე ავტომანქანა ქვეით ჯარიანად და ტვირთიანად და გასწყვიტეს ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

განსაკუთრებით გამოირჩევიან ამხ. კაშკინისა და პუშკარევის ქვეგანაყოფები. ამხ. სტეპანოვის ბატარეამ მოსპო 2 ასეული მეავტომატე და ქვეითი ჯარი, ცეცხლი გაუჩინა 4 ტანკს. უფროს სერჟანტ პიცინის გუნდმა ცეცხლი გაუჩინა ორ ტანკს და 30-ზე მეტი მეავტომატე გაჟლიტა.

ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ჩვენს ხალხს და დიდ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს, რომ მტერს არ გამოვუშვებთ გროზნოსა და ბაქოს ნავთისაკენ, საშუალებას არ მივცემთ ჰიტლერელ მტარვალებს აბუჩად აიგდონ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

გვარდიის მაიორი პ. პუზიკი

გვარდიის უფროსი სერჟანტი ი. კრივოშეევი

გვარდიის წითელარმიელები: ა. მაკეევი, ი. კოლომიეცი

## ჰიტლერელებმა დასწვეს 11 დაჭრილი მებრძოლი

მე უკვე რამდენჯერმე მომიხდა ფაშისტ ბანდიტებთან შეხვედრა. ისინი ჯარისკაცები კი არა, გაცოფებული მხეცები არიან, რომლებისთვისაც უცხოა ყველაზე ელემენტარული ადამიანური გრძნობები. ისინი სძარცვავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, ძალადობას სჩადიან და ხოცავენ მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებს.

№ დასახლებულ პუნქტში ჩვენ აღმოვაჩინეთ მხეცური გასწორების კვალი დაჭრილ წითელარმიელთა მიმართ. ფაშისტებმა მებრძოლები საკოლმეურნეო ფარდულში შეათრიეს, მერე ამ ფარდულს ნავთი მოასხეს და გადასწვეს. ცოცხალ ჩირაღდნებივით ენთნენ ცეცხლწაკიდებული წითელარმიელები, ისინი სიკვდილის წინ საშინლად იკრუნჩხებოდნენ.

გერმანელების მიერ გაწამებული თერთმეტი მებრძოლი ამხანაგის საფლავზე სტიქიურად გაიმართა მიტინგი. ქუდმოხდილი მებრძოლები ფიცს სდებდნენ, რომ სასტიკ შურს იძიებდნენ გერმანელ კაციჭამიებზე.

ეს წმინდა ფიცი იმ დღესვე შესრულებულ იქნა. ჩვენ გერმანელები გავრეკეთ ერთი დასახლებული პუნქტიდან და კარგა ბევრი ფაშისტი უწმინდური მოვსპეთ.

ეფრეიტორი ა. მოკროტოვაროვი.

## ორგზის ორდენოსან სავიცკის ბატალიონმა ორი ათასზე მეტი გერმანელი მოსპო

№ ქვეგანაყოფის ბატალიონმა, რომელსაც ორგზის ორდენოსანი ამხ. სავიცკი მეთაურობს, პირველი ადგილი დაიკავა საბრძოლო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ოქტომბერსა და ნოემბერში ბატალიონის მებრძოლებმა ათობით მტრის იერიში მოიგერიეს. ამ ხნის განმავლობაში ბატალიონის მიერ მოსპობილია ორიათასზე მეტი გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი. ამასთანავე ერთად განადგურებულია მტრის დიდძალი ტექნიკა.



საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი, მეწინავე საზენიტო დანადგარის გამტენი წითელარმიელი ს. ხამაკალაშვილი

ფოტო გ. ჯეირანოვისა

კონსულტაცია

## დაზვერვა მეთვალყურეობით

ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ სადაც უნდა იყვნენ და რასაც უნდა აკეთებდნენ ჯარები, ისინი ვალდებული არიან მუდამ, ყოველ ვითარებაში აწარმოონ აქტიური დაზვერვა. მხოლოდ განუწყვეტელი აქტიური საჯარისო დაზვერვა იცავს ნაწილს ყოველგვარი შემთხვევითობისაგან და უზრუნველჰყოფს ნაწილის უმეტეს მიზანშეწონილსა და ეფექტიან მოქმედებას ბრძოლის ველზე.

დაზვერვა უნდა სწარმოებდეს ყოველგვარი საშუალებითა და წესით. ერთ-ერთი წესი დაზვერვისა არის დაზვერვა მეთვალყურეობით. ამ მნიშვნელოვანი სახის დაზვერვას გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, ვიდრე აქამდე ეთმობა.

მეთვალყურეობით დაზვერვა მთელი საზვერავი სამსახურის ორგანიზაციის თავდაპირველ ეტაპს წარმოადგენს. მეთვალყურეობა წინ უსწრებს ყველა დანარჩენი სახის დაზვერვას. წინასწარი მეთვალყურეობის გარეშე შეუძლებელია მოეწყოს შეტევა, შეუძლებელია ცალკე ჯგუფების გაგზავნაც კი დაზვერვაში.

როგორ უნდა მოეწყოს დაზვერვა მეთვალყურეობით?

მეთვალყურეობას აწყობენ ქვეგანაყოფთა შტაბები და მეთაურები. თავიანთი სამეთვალყურეო პუნქტების გარდა, მათ უნდა ჰქონდეთ პუნქტები, რომლებიდანაც მეთვალყურეობა შეეძლებათ გასწიონ გამოცდილმა მებრძოლმა მზვერავებმა.

სამეთვალყურეო პუნქტების ქსელი უნდა მოეწყოს რაც შეიძლება ახლოს მოწინააღმდეგესთან. მათი განლაგება გულდასმით უნდა მოვიფიქროთ, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ არა რუკა, არამედ ადგილმდებარეობის წინასწარი დაზვერვა. თითოეულ პუნქტს წინდაწინ დასახული გეგმით ეძლევა ძირითადი ამოცანები და მეთვალყურეობის სექტორი. თანამოქმედების მიზნით სექტორების საზღვრები ერთმანეთს გადაჰკვეთავენ. საჭირო შემთხვევებში კი დაიმიჯნებიან მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდის კუთხით. ჯარის ნაწილების მეთვალყურეობის საერთო სისტემაში აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი სხვა გვარეობის ჯარების, კერძოდ არტილერიის მეთვალყურეობა. ყოველ პუნქტს უნდა ჰქონდეს დიდი მასშტაბის რუკა ან უბნის მეთვალყურეობის გეგმა, რომელსაც დახაზული კვადრატები აქვს, რაც პატაკების გადაცემას გააადვილებს.

ქვეგანაყოფთა შტაბები და მეთაურები აწყობენ მეთვალყურეობის შედეგების შეკრებას, აღრიცხვასა და დამუშავებას, დამატებითს ამოცანებს უსახავენ მზვერავებს მიღებული ცნობების დასაზუსტებლად და მათ შესამოწმებლად სხვადასხვა პუნქტებიდან. შტაბებმა გულმოდგინე მუშაობა უნდა გასწიონ დაზვერვის ცნობების სისტემატიზაციისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ მტრის საცეცხლე საშუალებათა დაჯგუფება და რაოდენობა.

საბრძოლო პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ მზვერავთა მცირე ჯგუფებს მეტად წარმატებით შეუძლიათ დაზვერვა, განსაკუთრებით მთებში. 3—5 მებრძოლისაგან შემდგარი მზვერავი ჯგუფი უჩუმრად მიხოხდება ზედ მტრის საცეცხლე წერტილთან, არკვევს მათს განლაგებას, ქვეითი ჯარის თავმოყრის ადგილს, სანგრების, სანგრსასვლელების, ბლინდაჟებისა და სხვათა ადგილებს. მზვერავები ყველა ამ ობიექტებს ინიშნავენ, რისთვისაც წინასწარ დასახული ორიენტირებით სარგებლობენ. მტრის დასაყრდენი პუნქტების შესაყარში შესვლის შემდეგ მზვერავები ფლანგებიდან მიეპარებიან მათ, განლაგდებიან საფარში და დღის განმავლობაში მეთვალყურეობის გზით არკვევენ ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების საცეცხლე პოზიციებს, საკომანდო პუნქტებს, ზურგის საცეცხლე წერტებსა და სხვა.

ასეთი ამოცანების შესასრულებლად უნდა ვგზავნოთ კარგად მომზადებული მებრძოლი მზვერავები, რომლებსაც შენიღბვა, მალულად და უხმაუროდ გადახოხვა იციან, რომლებსაც მტრის სამეთვალყურეო პუნქტების, საცეცხლე წერტებისა და სხვა ობიექტების გამორკვევის პრაქტიკა აქვთ. საჭიროა ვიცოდეთ, რომ მტერი დეზორიენტაციის მიზნით მოძრავ საცეცხლე წერტებს იყენებს. არიან თუ არა ასეთი წერტები ნამდვილად, ამის გამორკვევა შეიძლება გულმოდგინე და განუწყვეტელი მეთვალყურეობის გზით.

ზოგჯერ ვითარება საშუალებას არ აძლევს მზვერავებს, რომ დღისით მიუახლოვდნენ მტრის თავდაცვითს ზღუდეს. ამ შემთხვევაში მზვერავთა მუშაობა ამაოდ არ ჩაივლის. განუწყვეტელი მოქმედებით მეთვალყურეებს შეუძლიათ მოინიშნონ ის საცეცხლე წერტები, რომლებიც ცეცხლს აწარმოებენ.

განუწყვეტელი მეთვალყურეობა, მთის რელიეფის უნარიანი შეგუება, ოსტატური შენიღბვა—ასეთია მეთვალყურეობით დაზვერვის წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობები.

მაიორი ი. რახტიაბაევი.

# ჭურვი ფრონტისათვის

# დიდი სტალინის მოხსენებამ საწარმოებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია

## ჩვენ ჩინებული ტანკები გვაქვს— უფრო უკეთესი გვექნება

საბჭოთა ტანკების მშენებლები ბედნიერი არიან იმის შეგნებით, რომ მათი შრომის ნაყოფი ეხმარება წითელი არმიის მეომრებს დაამსხვრიონ მტრის ტექნიკა, გაჟლიტონ და გასწყვიტონ ფაშისტ დამპყრობთა ურდოები, რომლებიც ჩვენს წმინდა მიწა-წყალს შემოესიენ.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის განმავლობაში ჩვენი სატანკო მრეწველობა სამხედრო ინდუსტრიის ერთ-ერთ წამყვან დარგად იქცა. მან ფრონტელები აღჭურვა ისეთი შესანიშნავი საბრძოლო ტექნიკით, როგორიცაა ტანკი, რომელიც უბადლოა თავისი სიმტკიცით, ძალოვნობითა და საცეცხლე სიმძლავრით, აღჭურვა საშუალო ტანკით, რომელიც დიდი მანევრისუნარიანობითა და მაღალი საბრძოლო თვისებებით განსხვავდება.

ამჟამად ჩვენი სატანკო ქარხნების კონსტრუქტორები—სოციალისტური შრომის გმირი ამხ. კოტინი, ამხ. მოროზოვი და სხვები შეუპოვრად მუშაობენ მანქანების შემდგომი სრულყოფისათვის და ამავე დროს ქმნიან ახალი ტიპის ტანკებს, კიდევ უფრო მძლავრსა და მანევრისუნარიანს, კიდევ უფრო დაჯავშნულს, კიდევ უფრო ძლიერს თავისი ცეცხლით. ფრონტი ამ ტანკებს საკმაო რაოდენობით მიიღებს.

ტანკმშენებლები დაუცხრომლად მუშაობენ საომარი პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად. ამის საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს კერძოდ ოქტომბრის შედეგი, როდესაც სტალინგრადის ქარხნის მწყობრიდან გამოსვლის მიუხედავად, ფრონტმა იმდენი ტანკი მიიღო, რამდენიც წინათ არასოდეს არ მიუღია. მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ ეს ცოტაა, რომ მიღწეული ზღვარი როდია.

სტალინგრადის, ლენინის ქალაქის, კავკასიისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების სახელოვანი დამცველები, რომლებიც სამშობლოს გამარჯვებისა და ბედნიერებისათვის ჩადენილი საგმირო საქმეებით მთელ მსოფლიოს აოცებენ, სამართლიანად მოითხოვენ ტანკების გამოშვების შემდგომ ზრდას. ფრონტის მოთხოვნა კი კანონია. ამიტომ ტანკის მშენებელთა მთელი მისწრაფება და მუშაობა ამჟამად იმისაკენაა მიმართული, რომ ჯავშნიან სიმაგრეთა კოლონები დაუსრულებელ ნაკადად და სულ უფრო და უფრო ზრდადი რაოდენობით მიედინებოდეს ფრონტისაკენ.

სატანკო მრეწველობის მუშაკები სიტყვას იძლევიან, რომ მომავალშიც გადაჭარბებით შეასრულებენ სახელმწიფოს ყველა დავალებას, კიდევ უკეთესად უზრუნველყოფენ ფრონტს საომარი ტექნიკით. თქვენ კი, ძვირფასო მეგობარო ფრონტელებო, ამ ტანკებით კიდევ უფრო მძლავრად ურტყით ფაშისტ ქვეწარმავალთ, რაც შეიძლება მეტი ჰიტლერელი ყაჩაღი ჟლიტეთ, უფრო მარჯვედ ანადგურეთ და ხოცეთ მტრის ტექნიკა და ფაშისტების ძალმწიფურები.

**ზალცმანი**
სსრ კავშირის სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარი. (საქტეპი).

## შესრულებულია წლიური გეგმა

**ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონლისა და მეღორეობის განვითარების წლიური გეგმა.**

**კოლმეურნეობებში წლიური გეგმის გადამეტებით ასობით სული ცხვარი და სხვა საქონელი იზრდება. საკოლმეურნეო ფერმები მთლიანად უზრუნველყოფილია უხეში საკვებით. მთავრდება ნოყიერი საკვების დაგროვება.**

## წარმატებით ასრულებენ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე

ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებმა შინსაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგად ყველა გეგმა ვადამდე შეასრულეს.

კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მთლიანად ჩააბარეს გეგმით გათვალისწინებული მარცვლეული წითელი არმიის პურის ფონდში. შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხახვის, ერბო-კარაქის, მატყლის, კარტოფილის, ყველისა და სხვ. ჩაბარების გეგმა.

ახლა, თამბაქოს შეტენვის, მარცვლეულის ჩაბარების და ჩალისა და გერანის ნაწარმოების დამთავრებასთან დაკავშირებით ძლიერი ტემპებით იწყება საშემოდგომო თესვა, ჭრიალად ხვნა, შაქრის ჭარხლის ამოღება და დამზადების პუნქტებში ჩაბარება.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 16 ნოემბრის დილის ცნობიდან

15 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის მცირე ჯგუფების იერიშებს. ქალაქის საქარხნო ნაწილში მოგერიებულია გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარის იერიში. № საარტილერიო ქვეგანაყოფის მებრძოლებმა მოსპეს მტრის საარტილერიო ბატარეა, 3 ავტომანქანა ქვეითჯარიანად, დაანგრიეს 6 ბლინდაჟი და ააფეთქეს საომარ მასალათა საწყობი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი მზვერავთა რაზმი ღამით მტრის განლაგებაში შევიდა და 60-მდე ჰიტლერელი დახოცა. მზვერავებმა ხელთ იგდეს 6 ტყვიამფრქვევი, 28 შაშხანა და მშვიდობით დაბრუნდნენ თავის ნაწილში. № ნაწილის არტილერისტებმა ღია პოზიციებიდან მოსპეს მტრის 8 [illegible], გაჰფანტეს და ნაწილობრივ გასწყვიტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან და რამდენადმე წინ წაიწიეს. № მსროლელთა ნაწილის მებრძოლებმა ღამის ბრძოლაში გასწყვიტეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებულია მტრის 6 ტანკი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი მზვერავები მტრის ზურგში შეიჭრნენ და უეცრივ მიიტანეს იერიში მტრის ავტომანქანების კოლონაზე, რომლებიც დატვირთული იყვნენ საომარი მასალითა და სურსათით. მზვერავებმა ააფეთქეს 15 ავტომანქანა, გასწყვიტეს 40-მდე ჰიტლერელი და უზარალოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.




## როგორ უნდა აიცილოს მებრძოლმა დაზრობა

მებრძოლო! დაიცავი შენი თავი და ამხანაგი დაზრობისაგან!

დაზრობისაგან რომ თავი გადაირჩინო, შეასრულე შემდეგი.

მუდამ წესიერულად იქონიე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

ისინი კარგად მორგებული უნდა გქონდეს. კარგად მოირგე თავსაბურავიც. შიგ ქარმა არ უნდა შეაღწიოს.

ტყავის ფეხსაცმელი პერიოდულად გაპოხე ჩექმის საცხით ან რაიმე ცხიმით.

პირველი შესაძლებლობისთანავე გააშრე ფეხსაცმელი.

ჩექმაში ან წაღაში ჩაიფინე ჩალის, ქერის ან ნავის შიდულანჩა. როცა ვითარება საშუალებას მოგცემს, დაუყოვნებლივ გააშრე მატერიის შიდულანჩა, ხოლო ჩალისა გამოიცვალე.

ფეხსახვევები მუდამ მშრალად იქონიე. ისინი კარგად შემოიხვიე ფეხებზე, ნაოჭები და ნაკეცები რომ არ გაკეთდეს. გახსოვდეს, რომ მოჭერილი ფეხი უფრო ადვილად და სწრაფად დაზრება.

საზამთრო ფეხსაცმელის ფეხზე შემოიხვიე ქაღალდი, ზემოდან კი საზამთრო ფეხსახვევი ან მეორე სახვევული ფეხსახვევი.

პირისახის სიცივისაგან დასაცავად ჩამოიწიე მუზარადი ან ქუდის საყურე.

დიდი ყინვის დროს ყური, პირისახე და ხელ-ფეხი (განსაკუთრებით თითები) დაიზილე სპეციალური დაზრობის საწინააღმდეგო საცხით ან საქონლის ცხიმით. პირველ რიგში დაიზილე პირისახის შიშველი ნაწილები—ლოყები, ცხვირი, ნიკაპი, შემდეგ კი ხელ-ფეხი.

საცხის მსუბუქად შეზელის შემდეგ პირისახეზე დაიტოვე მისი მცირე ფენა. ასეთი საცხი თვალში არ უნდა ჩაგივარდეს (გაღიზიანებას გამოიწვევს).

ხელ-ფეხს საცხი ჭარბად წაუსვი, შემდეგ კი ენერგიულად დაიზილე ისინი.

ავტომანქანით წასვლისას ზურგშებრუნებული დაჯექი და ფეხქვეშ ბრეზენტი ან ჩალა დაიფინე. გაჩერებაზე, მეთაურის მითითებით, ადგილები დაიცვალეთ (წინა რიგში მსხდომნი მეორე ან მესამე რიგში სხდებიან). მოუწყობელ ავტომანქანებში კარვის ტილო გამოიყენე ძლიერი ქარისაგან დასაცავად.

**ტანკისტებო!** შეყენებისა და გაჩერების ადგილას ენერგიულად იმოძრავე (ხტომა, გადარბენა). მოტორთან არ უნდა იძინებდე, რადგან ამით შეიძლება მხუთავი აირით მოიწამლო.

მართვის პედალსა და ბერკეტს შემოახვიე მაუდის ან შალის ქსოვილი.

თუ სათვალეს იკეთებ, რაც პირისახეს მჭიდროდ ედება, თვალყური ადევნე ლოყებს,—ისინი უფრო სწრაფად დაზრებიან.

მანქანის რემონტის დროს **შიშველ ხელს ნუ მოჰკიდებ ლითონს**,—გამოიყენე ხელთათმანი ან მაუდი, მშრალად გაითბე ხელი, დაიზილე პირისახე.

**არტილერისტებო და კავალერისტებო!** უზანგებს შემოახვიე რაიმე ქსოვილი ან ჩალა. ყოველ საათში, მეთაურის მითითებით, ვარჯიშით დაკავდი 10—15 წუთით, რათა გათბე. მუხლებზე და ფეხებზე მაუდის ან შალის ნაჭერი გაიკეთე.

**ქვეითებო!** ლაშქრობაში პირქარის დროს, მეთაურის მითითებით, დაიცვალეთ ადგილები (პირველ მწკრივებში მიმავალნი კოლონის შუაგულში გადადიან, ისინი კი, ვინც ფლანგებზე იყვნენ, შუა მწკრივებში ჩადგებიან).

**მებრძოლო!** თვალ-ყური ადევნე, როცა შენ და შენს ამხანაგებს გამოაჩნდებათ **დაზრობის პირველი ნიშნები** (მჩხვლეტი ტკივილი, გრძნობიერების დაკარგვა, კანის ნაკვეთის გათეთრება).

**ამ ნიშნების გამოჩენისას დაუყოვნებლივ დაიზილე ხელთათმანით ან ფარაჯით კანის ფერგამკრთალი ადგილი გაწითლებამდე და გრძნობიერების აღდგენამდე. დაიზილე მსუბუქად, ისე, რომ კანზე ნაჭდევები არ გაჩნდეს.**

**მებრძოლო! გახსოვდეს, რომ ამ წესების შესრულებით შენ უფრთხილდები და განამტკიცებ წითელი არმიის საბრძოლო ძლიერებას.**

**წითელი არმიის მთავარი სამხედრო-სანიტარო სამმართველო**

## კიროველები ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელ ქარხანაში ამხანაგ სტალინის მოხსენების შემდეგ პირველ ხუთდღიურში საწარმოო დავალებათა შესრულებაში საგრძნობლად დაწინაურდნენ № 12 საამქრო (უფროსი ამხ. ხოჩინი) და მექანიკური საამქრო (უფროსი ამხ. მანუკოვი). ეს საამქროები სახელმწიფო დავალებას ყოველდღიურად ორმაგად და სამმაგად ასრულებენ. სტახანოველმა მღარაველმა ამხ. დომიანენკომ 8 და 9 ნოემბერს დღიური პროგრამა 600-600 პროც. გაანაღდა. ზეინკლები ბენდიანაშვილი და ხუციშვილი ყოველდღიურად ხუთ-ექვს ნორმას იძლევიან.

ცნობილი სტახანოველი ამხ. სპირანდი ყოველდღიურ დავალებას 800 პროც. ასრულებს, ხოლო ამხ. ბელუკოვი დღიურად 900—1000 პროც. იძლევა.

**ი. ზაქოჭნელი.**

## საწარმოო აღმავლობა ბელადის სახელობის ქარხანაში

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ—ვაგონსარემონტო ქარხანაში № 26 სპეცსაამქროს ზეინკლებმა: ზ. ჯლანტიაშვილმა, გ. პეტროსიანმა, გ. სუბიტაშვილმა, კუხარენკომ და ორდენოსანმა ხარატმა სავალიამ დიდი **სტალინის** მოხსენების შემდეგ თავიანთი მაჩვენებლები 300-320 პროცენტამდე აიყვანეს.

სამხედრო დაკვეთებს აგრეთვე სახელოვნად ასრულებს № 25 სპეცსაამქრო. იგი მომჭირნეობით ხარჯავს მასალას, მოფიქრებულად იყენებს თითოეულ დეტალს, გადაჭარბებით ასრულებს სადღეღამისო გრაფიკს. ამ საამქროს ზეინკალმა მედალოსანმა ს. ბაბაევმა, ხარატმა ლუზგინმა, მღარველმა ზელენევმა, ზეინკალმა მ. შიოლაშვილმა დიდად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. ისინი ყოველდღიურ დავალებას 300—350 პროცენტით ასრულებენ.

საელმავლო საამქროს, რომლის უფროსიც ორდენოსანი ვ. გოცირიძეა, 11 თვის გეგმა 23 ნოემბრისათვის უნდა შეესრულებინა, ბელადის მოხსენების საპასუხოდ 10 ნოემბრისათვის, 13 დღით ადრე შეასრულეს. ამავე საამქროს გ. ხატიაშვილის საზეინკლო ბრიგადამ, რომელშიც შედიან სტახანოველები ნ. ვართანოვი, ი. ბადრიძე და მ. კარეცკი 12 დღის სამუშაო 4 დღეში შეასრულეს.

საელმავლო საამქროშიც ა. მისკაროვის ბრიგადამ მაისურაძის, ვასილევისა და ანდრიასოვის შემადგენლობით ორი კვირის დავალება 7 დღეში გაანაღდა.

**გ. ზურაბიშვილი.**

პ/მგ. რედაქტორი ი. ბერიშვილი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარასელი

რედაქციის მისამართი: Действующая армия ППС 731, часть 302 გ—2643